№ 51 მარტი 6, ხუთშაბათი 1886 მარტი 6, ხუთშაბათი № 51

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

ტფილისი, 6 მარტს.

კახეთზედ რომ არ გაიყვანეს რკინის გზა და უდაბურს ადგილებზედ გაატარეს, ამ შეცდომის გასამართლებლად ერთი საბუთი მოჰყავნდათ. თუ შეცდომის გასამართლებლად საერთოდ და ამ შეცდომისა ცალკე რაიმე საბუთი მოიპოვება, კიდევ იგი, რაზედაც ჩვენ დღეს დავიწყეთ ჩვენი მეთაური წერილი. მოგეხსენებათ წინა მხარს და უკანა მხარს კახეთს ორ არა-თანასწორ ნაწილად ჰყოფს თითქმის თავიდამ ბოლომდე ზურგი ცივის მთისა. ეს მთა ყოფილა უმთავრესი მიზეზი, რომ კახეთისათვის ბაქოს გზა აუცდენიათ. რაკი ეს მთა არისო, ორი წყობა მოძრაობისა (ПОДВИЖНОЙ СОСТАВЪ) უნდა ვიქონიოთო, ერთი, რომელიც წინამხარს დაუწყებს სამსახურსა, მეორე უკანა მხარსაო. ეს იმოდენად ძვირად დაუჯდება რკინის გზასაო, რომ ზარალის ასაცდენისათვის იძულებული იქმნება როგორც მგზავრსა, ისეც საქონელზედ მეტი ფული იღოსო. უსამართლობა იქნებაო, ამბობდნენ ამ საბუთის მომხრენი, უგუნითი უგუნისამდე მეტი გზის ფული, მაშასადამე მეტი გადასახადი ახდევინონ კახეთის გულისათვის მთელს ქვეყანას შავის ზღვიდამ მოკიდებული კასპის ზღვამდეო.

ამ საბუთს არც მაშინ ჰქონდა ძლიერის საბუთის ღირსება და ეხლა უფრო არა აქვს, რადგანაც დღევანდელი დღე კახეთის რკინის გზის საქმისა სულ სხვა ვითარებას წარმოადგენს. დღეს კახეთი საკუთარს გზას ითხოვს, მაშასადამე ძვირად დაჯდება, თუ იეფად, ორივეს თვითონ იკისრებს და თვითონ გაუძლვება. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი მოწინააღმდეგნი კახეთის გზისანი ამტკიცებენ, რომ კახეთი ვერ გაუძლვება რკინის გზის ხარჯსაო და მაშასადამე რკის გზა თავის ხარჯსაც ვერ ააყენებს და ზარალში იქნებაო. ამას იმითი ამტკიცებენ დღესაც, რითაც ბაქოს რკინის გზის გაყვანამდე ამტკიცებდნენ, სახელდობრ, მით, რომ კახეთს იმოდენა გარედ გასატანი საქონელი არა აქვსო, რომ მისთვის ღირდეს რკინის გზის გაყვანაო. იქაურთ მკვიდრთა არც იმოდენა მისვლა-მოსვლა ექმნებათ, რომ ამან დაჰფარის ზარალიო. ამ უკანასკნელზედ არას ვიტყვით, რადგანაც ცნობილია, რომ არც ერთი გზა რკინისა თავის ანგარიშს არ ამყარებს პასაჟირთაგან შემოსავალზედ ნამეტნავად რუსეთში. ხოლო რაც შეეხება საქონლის ვითომდა სიცოტავეს—ეს კი, ჩვენის ფიქრით, შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოდ, დიდი შეცდომაა იმისთანა ქვეყანაზედ როგორიც კახეთია, რომელსაც ბუნებური სიკეთე ჰავისა და დედა-მიწისა ასე უხვად ჰრგებია, კაცმა ჰსთქვას რომ საქონელი არ ექმნება ბაზარში გამოსატანიო. თუნდაც დღეს კახეთი სწორედ ამ უნუგეშო ყოფაში იყოს, მაინც სახვალიოდ ეგ არ ითქმის. რაც მოჰყავს დღეს კახეთს თავისთვის, შინ სახმარად მოჰყავს. ამას ერთი ბეწვიც რომ გადაამატოს, გადააჭარბოს, უქმად, გადასაყრელად უნდა შინვე დარჩეს გზის უქონლობისაგამო. მეტის-მეტი ეკონომიური წინ-დაუხედავობა იქნება, რომ დღეს კახეთი ამ რიგად მოიქცეს, მრეწველობა გაიძლიეროს. ვინ ამაგობს ქვეყანაზედ ნაამაგების გადასაყრელად? ერთი ღვინო-და იყო კარგი საადებ-მიცემო საქონელი და იმანაც კი გზის უქონლობისა გამო ლამის დაიწიოს და იგლოს. ქართლმა, იმერეთმა და განჯამ გზის სისწრაფისა და იეფობის გამო ღვინის მაზრიდამ ლამის გამოსწიროს, გამოდევნოს კახეთი მაშინ, როდესაც კახეთს ღონე აქვს მთელი რუსეთი გააძღოს ღვინითა, ადვილი, სწრაფი და იეფი გასატანი გზა რომ ჰქონდეს.

იმის მიხედვით, რომ რკინის გზა გაჰყავთ არა ორისა და სამის წლისათვის, არამედ სამუდამოდ, ანუ ვიდრე კაცობრიობა უფრო უკეთესს გზას მოიგონებს, კაცმა სახეში უნდა იქონიოს კახეთის დღევანდელი ყოფა კი არა, არამედ ის ბუნებური თვისება ჰავისა და დედა-მიწისა, რომლის შეერთებულის ძალით წარმოსდგება სიმდიდრე, თუ კაცი გულხელ დაკრეფილი არ იჯდება. ყველასაგან ცნობილია, რომ საცა სარფაა, იქ მხნეობაც და მეცადინეობაც არის; იქ სარფა თვითონ ამუშავებს, ამოქმედებს და აქეზებს კაცსა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა გამოსაცნობლად.

ამ სახით, საცა ბუნებური გარემოება, თვისება ჰავისა და მიწისა ხელ შემწყობია ადამიანისა, იქ ერთად-ერთი მიზეზი მოქმედების, მრეწველობის გაძლიერების, ადვილად და იეფად მისაწვდენი ბაზარია. მიეცით ამ ნაირს ქვეყანას იეფი და სწრაფი გზა საქონლის გასატანად, გასასაღებლად და მაშინ ჰნახავთ დღეს უნუგეშოდ ყოფილი მხარე ხვალ რამ სიგანედ გადიშლის ფრთებს და რა მრავალ ფერს საქონელს გამოიტანს საქვეყნო ბაზარში. ვისაც გაკვრით მაინც მოუხვედრებია თვალი კახეთისათვის, იგიც კი უარს ვერა ჰყოფს, რომ ამ მართლა და ბუნებითად ბედნიერს უმცროს სახლის-კაცს ქართლისას ბუნებური ძალი და ღონე არ შესწევდეს ქადილსა, ოღონდ გზა მომეცითო და მე გიჩვენებთ რა ვარ დღეს, რა ვიქნები ხვალა და რა მრავალ ფერის სიმდიდრით გამოვალ მოედანზედაო.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 4 მარტს, ღამის 12 საათზე და 15 წუთზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სანგაჩალის სტანციაზე საქონლის მატარებლების გადაჯვარედინების დროს, მატარებელი № 13 შესჯახებია მატარებელს № 18. ამ შეჯახების დროს თელების გამპოხველი, მეშჩანინი ვოინოვი გასრესილა, ათი ნავთის ვაგონი და ერთი ორთქლით-მატარებელი დაზიანებულა. ეს მომხდარა იმის გამო, რომ მემაშინეებს ყური არ უთხოვებიათ წითელ დისკოსათვის, რომელიც გაფრთხილების ნიშნად ამ დროს აფარებული ყოფილა.

⁂ 4 მარტს ტფილისის ბანკის გირავნობის ფურცლების მუშტარი ყოფილა და უძლევია 100-ში 97 მანათი და ქუთაისისაში—97 მან. ხუთ შაურ ნაკლებ და გამსყიდველნი არ ალმოჩენილან.

⁂ გაზ. «Каспи» სწერს, რომ ამ დღეებში ბაქოზედ ბუხარისაკენ და თურქესტანის მხრისაკენ გაუვლიათ რამდენსამე ამერიკელს, რომელნიც, როგორც ამბობენ, გამოგზავნილნი არიან იმიტომ, რომ ადგილები დაათვალიერონ ბამბის პლანტაციების გასამართავადაო.

⁂ თებერვლის თვეის განმავლობაში, იმავე გაზეთის სიტყვით, სპარსეთში, სხვათა შორის, გაუტანიათ 1,720 ცალი პოლუიმპერიალი და 15 ფუთი და 33 გირ. დამდნარი ვერცხლი.

⁂ ორშაბათს, 3 მარტს, ტფილისის ქუჩები გაუწმენდელნი და დაუგველნი დარჩნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქალაქის გამგეობამ დამგველ მუშებს 1 მარტიდამ თითო მანათი ჯამაგირი დაუკლო, 13 მაგივრად, 12 გაუხადა. ეს ჯამაგირის დაკლება ეხლანდელმა სიიაფემ გამოიწვია. მუშებმა დაჰყარეს ცოცხები და მუშაობაზე უარი სთქვესო, მაგრამ, როდესაც ცოცხები უკან დაუბრუნეს და უთხრეს, რომ წადით, თუ ამ დაკლებაზე თანახმა არა ხართო,—სხვებს დავიჭერთო, ყველანი უკან დაბრუნდნენ და დაგვას შეუდგნენო. (გაზ. «Кавказъ»)

ნაკვესი

თ. გ. ერისთავი სოფლიდგან ტფილისში ჩამოვიდა. ერთხელ ბულვარზე სიარულის დროს შემოხვდა ერთი მოქალაქე და ჰკითხა:

კნიაზო, ისეთი რა საქმე გაქვსთ, რომ ამდენი ხანი აქ იმყოფებითო?

მე ქართველი ვარ და მაშასადამე ან ფული მაქვს და იმის დახარჯვასა

ფელეტონი

დაბრიყვებული ბრუნვები

(პასუხად ბ-ნს ნასიძეს)

(შემდეგი *)

რათა არც ერთი მხარე საგნისა არ დარჩეს ნათელ-მოუფენელი, საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოება ზოგს შემთხვევაში სჩადის, თუმცა ვაინაჩრობით, თანდებულის «თურთ» მაგივრობასა: ივანე მოვიდა ცოლით (ნაცვლად ცოლითურთ). და აი, სწორედ ამ მოვლენას უნდა დაებადნა ის უცნაური შეცდომა, რომელსაც ჩვენ ვამტყუნებთ. მაგრამ ამ შეცდომის ავტორებს ყურადღება მიუქცევიათ კერძო შემთხვევისათვის, ისიც ძალ-დატანების წყალობით ნაშობისათვის, და საზოგადო მოვლენა კი უყურადღებოთ დაუგდიათ. ამის გარდა დავიწყებიათ, ან ვერ შეუმჩნევიათ, შემდეგი გარემოებანი: თანდებული «თურთ» ახალს ქართულს ენას ეჩოთირება და ამიტომ ვცდილობთ მის მაგივრად ვიხმაროთ ფორმა, თუმცა განსხვავებული, გარნა მახლობელი, ადვილი და კეთილხმიანი. მაგრამ რადგანაც ჩვენი ეს წადილი სრულდება მხოლოდ ზოგიერთა შემთხვევაში და მაშინაც შეუსაბამობას ვგრძნობთ, ამიტომ ქართულს ენას გამოვაფურჩქვნინეთ ახალი ფორმა: იგი მოვიდა დედიანად (ნაცვლად «დედითურთ») გიორგი ამოწყდა ცოლ-შვილიანად (ნაცვლად «ცოლ-შვილითურთ»), გლეხი გადასახლდა დედა-ბუდიანად (ნაცვლად «დედა-ბუდითურთ»)...

თანდებული «თურთ» ვერა შემთხვევაში ვერ ეწევა მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოების მაგივრობას და ამითი ამტკიცებს, რომ უკანასკნელი მასზედ ბევრით ღონიერი და ძლიერია და არა მისი თანასწორი.

თუნდაც რომ მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოებას ხან-და-ხან გაეწია სრულის შესაბამობით ხსენებულის თანდებულის ოდნობა, მაშინაც არავითარი საბუთი არ გვექნება მათს იგივეობაზედ ჩამოგვეგდო სიტყვა. სხვა თვითმყოფელი ბრუნვებიც ხან-და-ხან იხდიან თავის თანდებულების ვალსა, უფრო მომეტებულის შესაბამობით; მაგრამ მათი გაერთება კი აზრადაც არავის არ მოსდის. მაგალითად: მე მივალ ტყეში, ბაღჩაში, ვენახში. აქ მიცემითი ბრუნვა ვერ მოიშორებს თანდებულს, მაგრამ სხვა მსგავსს შემთხვევაში კი ძალიან ადვილადი შორებს; ვამბობთ: მივალ კახეთს, (ნაცვლად კახეთში) გორს, თელავს, იმერეთს და სხვანი. ბატონი ნასიძის ლოღიკას რომ გავყვეთ, უნდა ამ მოვლენის გამო შევუდგეთ დამტკიცებას, რომ მიცემითი ბრუნვის დაბოლოება «სა» არის შემოკლებული თანდებული «შინა» და გავაუქმოთ ეს ბრუნვაცა.

ბატონი ნასიძის ავლა-დიდება ამითი როდი თავდება. შემდეგ მას მოჰყავს უფრო ძლიერი საბუთები. სახარებაშიო, ბრძანებს იგი, მოქმედებითნი ბრუნვანი ОТЦЕМЪ და МНОЮ გადმოთარგმნილიაო ნათესაობითი ბრუნვით — მამისათანა და ჩემ-მიერ. თუ ქართულს ენაზედ მოქმედებითი ბრუნვა სადმე იყოვო, რიღასათვის შეინახა მთარგმნელმაო. გახლდათ, როგორ არ გახლდათ; მაგრამ არ უხმარნიათ, რადგანაც ქართველს მთარგმნელებს მეხუთე საუკუნეში მოყვანილი ადგილი სხვა ნაირად გაუგიაო და რუსულს მთარგმნელს მეცხრე საუკუნეში კიდევ სხვა ნაირად. «მამისათანა ეცხოვრობ» ნიშნავს მამის გვერდით, მამის ახლო ცხოვრებას; «მამით ეცხოვრებ» აღნიშნავს მამისაგან გამამავალის ძალით, ანუ წყალობით სიცოცხლესა. პირველი მნიშვნელობა მიუცია სახარების სიტყვებისათვის ქართულის მთარგმნელს, მეორე რუსულის მთარგმნელს. ამიტომ ერთს უხმარნია ნათესაობითი ბრუნვა (მამისათანა), მეორეს—მოქმედებითი ბრუნვა (ОТЦЕМЪ). აგრეთვე სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს ფორმებსა: ჩემ-მიერ და ჩემით. როდესაც გვინდა რომელიმე არსება დავსახოთ ძალის თვით-მყოფელ წყაროდ, ჩვენ ვხმარობთ პირველს ფორმასა; მაგალითად: ღვთით არსებობს კაცი; თავისით ცხოვრობს კაცი. როცა კი რომელიმე არსება არის არა პირველი წყარო ძალისა, არამედ შუამავალი, უზენაესის ძალის გადმომცემი, მაშინ მივმართავთ მეორე ფორმასა. მაგალითად: მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა; მთავარმართებლის-მიერ გამოცხადდა ესა და ეს განკარგულება. რუსულის სახარების მთარგმნელს ზემო მაგალითშ

---

*) «ივერია», № 50, 1886 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გსცდილობ, ან აღარა მაქვს და დავჯებ შინ წასასვლელადათაო, მიუგო ერისთავმა.

თ. კ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სვანეთი. აგერ 15 თებერვალია და სოფლად კიდევ თოვლი არ მოსულა. ამითი სარგებლობს ხალხი და წვრილფეხი საქონელი—თხა-მცხვარი საბალახოზე დაჰყავს. სხვა გვარი სარგებლობა უთოვლობას არაფერი მოაქვს; სარგებლობა კი არა და, როგორც ხალხი ამბობს, უთოვლობა სახნავ-ყანებისათვის მავნებელიც არისო. მულახში გაჩენილი სნეულობა, რომელზედაც ამას წინათაც მოგწერეთ, გადამდები აღმოჩნდა და მეორე საზოგადოებაში—ლენჯერისაშიც გადასულა. მულახის საზოგადოებაში ეს ავადობა გავრცელებულია მომეტებულად სოფ. არცხელსა და მულშვერს, ლენჯერისაში-კი სოფ. ნესგვინს, ლაშთხვერს და სოლს ავადობა იწყობა სიცხით, მერე დაიწყობა ფაღარათობა, გრძელდება 4—6 კვირა. როგორც მიამბეს, ორს ზემოხსენებულს საზოგადოებაში ამ სენს 30 კაცამდე მოუკლავს. ხალხს ძლიერ ეშინიან ამ სნეულობისა. უფრო ვრცლად ავსწერდი ამ სნეულობის მსვლელობას, მაგრამ რისთვის და ვისთვის? სვანების შემწე-მოწყალე არავინ მეგულება! სვანეთის ყველა სოფლებიდამ დიდ ძალი მუშა ხალხია წასული სამუშაოდ რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოში, ყველაზე მომეტებული პროცენტი უშგულის საზოგადოებას ხვდება. ამ ჟამად აქ, სადაც 500 სული მცხოვრებია,—მცირე-წლოვანი გარდა-მამრობითის სქესიდამ მხოლოდ 54 მამა-კაცია შინ. ამ რიცხვში 18 კაცი მოხუცია, რომელთაც სამუშაოდ გასვლა არ შეუძლიანთ და მარტო შინაურობაში გამოდგებიან, 6 კაცი სოფლის მოხელე, რომელნიც საზოგადოებას ვერ მოსცილდებიან და ერთიც დიაკონი. მიზეზი დროებით თავის სოფლის მიტოვებისა უშგულელებისაგან ის 20 ივლისის 1885 წლის საშინელი სეტყვაა, რომელმაც ასე უსარჩო—უსაბადებლოდ დააგდო ხალხი («დროება № 176,1885 წ.) ხალხი წასულ- წამოსულია ფულის საშოვრად, რომ მომავალს ივლისს, როცა საცხენო გზა იხსნება სვანეთისაკენ, ნაშოვარი ფულით რაჭა-ლეჩხუმში სარჩო შეიძინოს, იყიდოს. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ უშგულელები ვერც სამყოფ ფულს იშოვიან. რა ნაირად იშოვონ, როცა, როგორც ნამდვილად ვიცი—დღიური ქირა მუშა სვანისა 15—20 კაპეიკია და ეგეს შაურს მეტად ასცილდება. მეტს ქირას ვერ იღებს მუშა სვანი, იმიტომ, რომ მან—ასე ვთქოთ, უბრალო მუშაობა იცის მხოლოდ, რომელსაც ნაკლები ფასი აქვს, თუმცა ჯაფა-ჭაპან-წყვეტა კი სხვა გვარ მუშაობაზე მეტი თუ არა, ნაკლები არა სჭირდება, მაგ., თხრილების კეთება, და ყორეების შენება. მარტო ამ ორს მუშაობაში გამოდგება სვანი გალმა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ თხრილში, რომელსაც სიგრძე ერთი საჟენი უნდა ჰქონდეს, სიგანე ხუთი ტკაპელი და სიღრმეც ოთხი ტკაპელი მუშა სვანი იღებს ერთს შაურს. თვით მუშებმა დამარწმუნეს, რომ მხოლოდ კარგს მუშას—და ისიც მაშინ—თუ სათხრელი მიწა ფხვიერია—შეუძლია დღეში ოთხი ხსენებულის ზომის საჟენი თხრილი გაიყვანოს; მომეტებულად კი სამს საჟენს უნდება მუშა დღეში ე. ი. იღებს სამს შაურს! ეს რომ მართალია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მუშა სვანი თვიურად 4—5 მან. სჯერდება ქირად. საცოდაობა მეტი იქნება! ორას ვერსის სიშორეზე გადის საბრალო სვანი სამუშაოდ; ითმენს სტიქიის სხვა-და-სხვა ულმობელს რისხვას თოვლ-წვიმა-სიცივეს, უბინადრობას, იღებს ჯან-ღონეს, იცვეთს ტანისამოსს და შემდეგ ამაებისა ბრუნდება შინ ცარიელ-ტარიელი! ამას დაუმატეთ შემდეგიც: რამდენიმე მაგალითი ვიცი, რომ სვანს თვეობით უმუშავნია რომელსამე თავადიშვილის ან აზნაურიშვილის მამულში; კადამდი მუშა სვანს ან გროშად არ-საღირალი გასაკეთებელი ვერ გაუთავებია, მაგ. თხრილი, ან ყორე ერთს ადგილას ისე სწორად ვერ გაუყვანია, როგორც მის ბრძანებელს აღას ჰსურს, ან თითის დადება სიღრმე-სიგანე აკლია თხრილს, ანა და არც პირველი მიზეზი ყოფილა და არც მეორე, სულ ტყუილ-უბრალოდ გაუშვია სვანი უქიროდ. რა ქნას აქ სვანმა? იჩივლოს? რა იცის და საიდან აქვს ამისი თავი, ან რა ხელს მისცემს! ვინც იცის სვანეთის გზების უვარგისობა, სვანეთის სიშორე გუბერნიის დანარჩენ ადგილებზე და სასამართლოს რთული და სვანისათვის გაუგებარი პროცედურა ერთად მატყუარა მოწმებისა, ის უეჭველია არ ურჩევს სვანს, რომ საჩივარი შეიტანოს სასამართლოში 4—5 მანეთზე, რომელიც დაბარების დროს სადილადაც ვერ ეყოფა. ამ გვარი რჩევა მივეცი მეც შარშან ზამთარს ხუთს სვანს, რომელთაც შემომჩივლეს, რომ ამა და ამ თავადის შვილმა (ვინაობა მითხრეს) შვიდი მანეთი ქირა დაგვაკლოო და რამეს მოგვეხმარეო. როდესაც გავიგე ვინაობა ამ მართლა და ქონებით მდიდარ გვამისა, ვურჩიე სვანებს ისევ თავი დაენებებინათ შვიდის მანეთისათვის, რადგანაც ვერც ჩემის შემწეობით გაგხდებოდით რასმეს. მაგ გვარი მაგალითები ბევრია.

ორიოდე სიტყვა კიდევ დასეტყვილ უშგულელებზე. უშგულში, როგორც ყველგან სვანეთში, ყოველს მოსახლეს წლიური სარჩო ორს თანასწორ ნაწილად აქვს გაყოფილი. ყოველს ოჯახს აქვს გამოწყობილი ერთი კიდობანი, რომელშიაც ინახავს ნახევარის წლის სამყოფ ფქვილს. ოჯახი ამ კიდობანს ავსებს იანვარში და უნდა იმყოფინოს ამავე წლის ივლისამდე, როდესაც რიგი და გამოანგარიშებით იღებს. ივლისში ხელ-ახლად უნდა აავსოს ეს კიდობანი ფქვილით და ეს დაფქვილი უნდა იმყოფინოს ოჯახმა მომავალს იანვარამდე. წარსულს შემოდგომას უშგულელებმა დიდის წვალებით იშოვნეს რამოდენიმე ფული საქონლის გაყიდვით, მუშაობით თუ სხვა რამეთი. ფულით ლეჩხუმში სიმინდი იყიდეს, დაჰფქვეს და ჩვეულებრივ «საფქვილე» კიდობანში (ლალფაქ კიბკდენ) ჩაჰყარეს, რომლის ზომა უკვე იციან. რასაკვირველია ყველამ არა, მაგრამ რამოდენიმე ოჯახმა აავსო თავისი საფქვილე კიდობანი სიმინდის ფქვილით და იმედი ჰქონდა, რომ ნახევარს წელს ეყოფოდა. აღმოჩნდა რომ სიმინდის ფქვილი ისე მკვრივად არ იტკეპნება და იტენება, როგორც სხვა ნათესავარის, მაგ. ქერისა და ამის გამო ბარაქაც ნაკლები აქვს. ამ ნაირად ნაყიდი სიმინდის დაფქვილი არა თუ ექვს თვეს — ოთხსაც ძლივს ასაზრდოებს ოჯახს და უშგულელებმა მაშინ უნდა შეივსონ დანაკლისი სარჩო, როდესაც სვანეთის მთებზე საცხენო გზა შეკრულია, ე. ი. ზურგით უნდა ეზიდონ. ადვილი წარმოსადგენია რა დიდი გასაჭირი მოელისთ უშგულელებს საცხენო გზის გახსნამდე და ისიც მაშინ თუ ფული არავინ მიაწვდინა სარჩოს ფასად. ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი დასეტყვის შემდეგ თვითონ ბრძანდებოდა ადგილობრივ, ნახა უშგული, მისცა ხალხს 400 მან. და სხვა შემწეობაც დაჰპირდა მთავრობისაგან. ეს შემწეობა—შემწეობა ბარაქიანი—მიუცილებელად საჭიროა, რომ ხალხი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეს. სამწუხაროდ ამ შემწეობაზე ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით, თუმცა უშგულელები იმედს მაინც არ ჰკარგავენ.

სვანი

* * *

ს. ანაგა (სიღ. მაზრა). ამას წინად შემთხვევად მომიხდა ს. ანაგაზე გამევლო. შუა სოფელს რომ მივატანე, წინ შემომეყარა სოფლის მამასახლისი ანხანაშვილი; მას უკან ასზე მომეტებული ჯოხებით ხელში კაცი მოსდევდა. რა ამბავია მეთქი? ვკითხე ერთ სოფლელთაგანს.—ერთი აქაური ბიჭი გაიქცა გომიდამ და იმის დასაჭერად მივყევართ მამასახლისსაო. გამეცინა და ვუთხარ, ბიჭო განა რა მძლეთა-მძლევია ის კაცი, ამოდენა ხალხი მისდევთ მეთქი.

მერე შევიტყე, რომ თითონ მამასახლისს ჯერ დაეჭირა ეს კაცი, მერე თითონვე გაეშვა, და საკვირველი არის რომ ახლა თავის-მიერ გამოშვებულს თითონვე ამოდენა ხალხით მისდევდა დასაჭერად.

დამაკვირდი!

ულმობელი და გულ-ქვავი კაცი ყოველს მხეცზედ უფრო საშიშარი მხეცია. (ბუასტი)

⁂

სრულს ბედნიერების დროს ყოველი თვითეული დღე მთელი სიცოცხლეა.
(გეტე)

⁂

ვინც სახნავი უგულმართად
მრუდად ჰხნას და ჰთესოს, ჰფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.
(დავით გურამიშვილი)

⁂

გონიერთაგან პირს ქება
გინებად შეირაცხება.
(არჩილ მეფე)

⁂

საძაგელია ღვთის წინა
ფიცი და მოფიცარია.
(მეფე ვახტანგ VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბისმარკი არ სჯერდება იმაზე, რომ პოლიაკები თავიანთ სამშობლო მიწა-წყალს მოაშორა. ეხლა ცდილობს, პოლიაკები ძირიანად აღმოფხვრას პრუსიაში. რა სწადიან ბისმარკს, რა აზრი აწუხებსო, ჩვენ ვერ გაგვიგიაო, ამბობს გაზეთი «Новости», ამაში კი ეჭვი არ არისო, რომ მას პოლიაკების საქმე მოსვენებას არ აძლევსო.

აი ეხლაც, განაგრძობს გაზეთი, ბისმარკი ყოველს ღონის ძიებასა ხმარობს, რომ პარლამენტში გაატაროს კანონი, რომლის ძალითაც პოლშის პროვინციების მემამულეებს და სოფლის საზოგადოებს სრულიად აეკრძალებათ თავიანთ ნებაზე მასწავლებლები ამოირჩიონო. ცხადია, ამ კანონის განზრახვა ის არის, რომ პოლიაკებ-მასწავლებლების მაგიერ ნემეცები იყვნენო. აქაც კიდევ ერთი დაბრკოლება იბადება: ვაი თუ პოლიაკების შვილებმა, მშობლების შთაგონებით სკოლაში სრულიად აღარ დაიწყონ სიარულიო. ბისმარკს ესეც წინადვე მოუფიქრებია და აი თურმე რა საშუალება აღმოუჩენია: პოლიციას სრული ნება ეძლევა ძალათ მიიყვანოს ყმაწვილები სკოლაში და თუ აქაც მშობლებმა წინააღმდეგობა აღმოიჩინეს, დიდი ჯარიმა და სასჯელი გადაჰხდეთო. გარდა ამისა, ბისმარკი კანონით ვალდებულათა ჰხდის ყოველს ყმაწვილს, რომელიც სოფლის სკოლაში სწავლას შეასრულებს, ესრედ წოდებულ «სწავლის გასაძლიერებელ სკოლებში» უთუოთ იაროსო. ბისმარკი ამასაც არ ჰსჯერდებაო. იგი ცდილობს კიდევ იმ გვარი კანონის გამოცემასაო, რომ არც ერთს პოლიაკების შთამომავლობის ექიმსა პოზნანში არამც თუ მკურნალობისა, არამედ ყვავილის აცრის ნებაც კი არა ჰქონდესო.

ჩვენ გვესმის, რომ ამ გვარი საქციელი ძალადობა, სუსტის დაბრიყვებაა. ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, თავისუფლების მომხრე გაზეთს მარტო ბისმარკი რად ამოუღია თვალში? განა მარტო ბისმარკი ექცევა ესე თავის ქვეშევრდომთ? ნათქვამია, ღმერთს შეჰხედე და სამართალი ისე გადასჭერიო. განა ინგლისი უკეთ ექცევა ირლანდიელებს, ან ავსტრია სლავიანებსა?

⁂

რაც საწყალ პოლიაკებს ბისმარკმა დააკლო, ის გაზეთმა «Виленскій Вѣстникъ»-მა შეუსრულა: ამ პატარა გაზეთსაც პოლიაკები ამოუთვალწუნებია და ასეთ ცილ-

---

იესო ქრისტე დაუსახნია ძალის პირველ წყაროდ და უხმარნია მოქმედებითი ბრუნვა (мною), — ქართულის სახარების გადმომღებს კი—შუამავლად (სრული სამართლით და საფუძვლიანობით) და ამიტომ უხმარნია ნათესაობითი ბრუნვა თანდებულის დამატებით (ჩემ-მიერ)...... აბა აქ რა შუაშია მოქმედებითის ბრუნვის ან ყოფნა, ან არ ყოფნა?

მთარგმნელებს რომ ერთ-ნაირადაც გაეგოთ ხსენებული ადგილი, შეიძლებოდა სხვა-და-სხვა ბრუნვა ეხმარათ. ხშირად, ძალიან ხშირად, ერთი და იგივე აზრი რუსულს ენაზედ იხატება ერთის ბრუნვით, ქართულზედ—მეორით. Помолимся Богу (дательн. падежъ)— უფლისა მიმართ ვილოცოთ (ნათესაობითი ბრუნვა). Смотрю на сестру (винительный падежъ съ предлог.)—ვუცქერი დას (მარტივი მიცემითი ბრუნვა). Не люблю матери (родительный падежъ)—არ მიყვარს დედა (სახელობითი ბრუნვა). მოვედი ურმით (მოქმედებითი ბრუნვა) прiѣхалъ на арбѣ (предложный падежъ) და სხვანი.

ჩვენ წინანდელს შენიშვნაში მხარი ავუქციეთ იმ აზრსა, ვითომც მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოება, გარდა თანდებულისა «თურთ», ზოგჯერ იყოს შემოკლება ნათესაობითის ბრუნვის დაბოლოებისა «ისათანა». გზა ავუქციეთ, უყურადღებოთ დავსტოვეთ იმიტომ, რომ ამ აზრის უსაფუძვლობა ყველასათვის ცხადია და, მის გაცრუებას მოსამზადებელის კლასის მოწაფეც შეიძლებს, რადგანაც «ისათანა» ერთი სამად და ოთხად უფრო უმეტესს მანძილზედა სდგას მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოებაზედ, ვიდრე თანდებული «თურთ». მაგრამ ბატონი ნასიძე—(არ ვიცით კი, განზრახ, თუ გაუგებრობის გამო) ამ გზის აქცევას აბრალებს იმას, ვითომ ჩვენ გაგვეძნელებოდეს მისი გამტყუნება. მაშ, თუ იგი ერთხელ კიდევ მეტად იქმნას განმტყუვნებული უსუსურს შეცდომაში, თავის თავს დააბრალოს.

რაზეა დამყარებული ხსენებული აზრი ჩვენის მობაასისა? მხოლოდ იმაზედ, რომ დაბოლოება «ისათანა» იპყრობს ასოს «თ», სხვა საბუთი არა სჩანს რა. მაგრამ განა ეს საბუთია? როგორ და რა გზით შვიდი ასო ისე დაილია, რომ ერთს ასოდ გარდაიქცა? როგორ შემოკლდა ოთხი მარცვალი ისე, რომ ერთი მთელი მარცვალი აღარ შერჩა? აქვს ამისთანა უცნაურს დალეულობას მაგალითები? არა, სრულიად არა. მაშ რითი უნდა გამართლდეს იგი? ბატ. ნასიძეს გაუგონია, რომ ბუზი სპილოდ იქცევა ხოლმე არაკებში, და ცხადია მოუნდომებია მას უკუღმა მოქმედების ჩადენა—სპილოს გარდა ქცევა ბუზად.

ეს უცნაური შემოკლება მით უფრო ჰკუაზედ შორს არის, რომ სხვა ბრუნვები კი იმშვენევენ დაბოლოების შემოკლებასა თანდებულთან შეერთების დროს და ნათესაობითი ბრუნვა კი ყოველთვის იცავს სრულს თავისს დაბოლოებასა: კალია-სავით, სიყვარულ-ისაგან, კაც-ისამებრ, უფლ-ისათვის, რედაქტორ-ისადმი, ეპისკოპოზ-ის მიმართ, ანგელოზ-ისათანა. აქ მოყვანილნი არიან ნათესაობითის ბრუნვის ყველა თანდებულნი. აბა სცადეთ დაბოლოების შემოკლება და ნახავთ, რომ თვისება ბრუნვისა და დაბოლოებისა მას სრულიად ვერ შეიმშვენევს. მაშასადამე, აზრი, ვითომც «ისათანა» იქცა ერთად-ერთ ასოდ «თ» ისე დასაჯერებელია, როგორც მუხას ვაშლი ასხიაო...

მივმართოთ საცილობელის ფორმის შინაარსსა. მოვედი ურმით. მოვედი ურმისათანა. ბატონი ნასიძე ბრძანებს, რომ აქ ერთი და იგივე აზრიაო და ამიტომ «ურმით» და «ურმისათანა» ერთ ბრუნვად უნდა ჩაითვალოსო. შემიბრალეთ, მკითხველო, რომ იძულებული ვარ ამისთანა პირლია შეცდომა ვამხილო. პირველი ფორმა (ურმით) ნიშნავს, რომ ურემში ვიჯექი და ისე მოვდიოდი; მეორე (ურმისათანა) გვიჩვენებს, რომ მე ურემს ფეხ-და-ფეხ (ან ცხენით) მოვსდევდი. განა ბლომა განსხვავებაა?

სულ ეგ არის მთელი ავლა-დიდება ბატონის ნასიძისა? იკითხავს მკითხველი. ეგ გახლავთ. მეტს ვერასფერს გამოსწურავთ მისი დანაწერიდგან, თუნდა ინგლისური საქაჯავი მოუჭიროთ. აი ამ ორიოდე ჩინჩხვარ-მინჩხვარით, ორიოდე კუდა საბუთით უნდა გაემტყუნებინა მას საყოველთაო აზრი და გაეუქმებინა თვით-მყოფელი, ფრიად საჭირო ბრუნვა მოქმედებითი. განა სასაცილო იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს?

იაკობ გოგებაშვილი

(შემდეგი იქნება)

სა სწამებს, ვითომც «პოლიაკებს მთელი ერების ჩაყლაპვა შესძლებოდეთ».

ამ აზრის დასამტკიცებლად, ამბობს გაზეთი, საკმაოა მოვიგონოდ დიდებული და განთქმული ლიტვა, მდიდარი და გმირული ჟმუდი, რომელნიც ისე გაპოლიაკდნენ, რომ გადატაკებულ აზნაურებს პოლიაკებათ თავიც მოაქვთ და კიდეც სამარცხვინოდ და საწყენად მიაჩნიათ, ლიტველი ან ჟმუდინი რომ დაუძახოთ. ამ აზნაურობას სრულიად შეუთვისებია პოლშური ენა, სარწმუნოება, დაუვიწყნია თავისი გმირები—გედიმინები, ოლგერდები, ვიტოლდები და ამათ მაგიერ კოსციუშკებით, სკრჟინეცკებით, მეროსლავსკებით თავი მოაქვსო. განჰქრა, დაწვრილმანდა ოდესმე ძლიერი და დიდებული ლიტვა: პოლშის ეშმაკურმა მეგობრობამ დაჰგლიჯა, გამოსწოვა მას სისხლი და ძალ-ღონე; პოლიაკის შეუბრალებელმა მარჯვენამ გამოსწირა სხვა ხალხთაგან, აღგავა დედა-მიწის ზურგიდამო.

ქართველებს და სპარსელებს შორის მუდმივი მტრობა რომ არა ყოფილიყო და მოყვრობა ჩამოვარდნილიყო, იქნება ჩვენც ქმუდებისა და ლიტველების დღე დაგვდგომოდა.

* * *

ბოლგარია დიდ სიხარულშია, ორი საქმე ერთად გაათავა: თავის წადილსაც მიეღწია და ოსმალეთ-სერბიასთანაც საქმე მშვიდობიანად გაიწყო. გაზეთ «СВѢТЪ»-ს ეს ძრიელ არ მოსწონს და აი რა მიზეზის გამო:

გერმანიამ ისე მოახერხაო, ამბობს გაზეთი, რომ ბოლგარიას სრულიად აუცრუა გული რუსეთზედაო და იგინი სამუდამოდ განაშორა ერთმანეთსაო. გერმანია გულს ულამაზს ბოლგარებს, ქების შესხმას არ ჰზოგავს და ამასთან იმასაც აგონებს, რომ რუსეთმა, გაჭირებულ დროს ხელი აიღო თქვენზეო და ღვთის ანაბარას დაგაგდოთო. ეს უსამართლობაა, ტყუილია, მაგრამ რას ვიზამთ, ბოლგარებს ესე აჯერებენ და იმათაც სწამთო.

მერე ვისი ბრალია, რომ ბოლგარებმა ასე იცვალეს გული? გაზეთი, სამწუხაროდ, ამაზედ პასუხს აღარ იძლევა.

* * *

საფრანგეთის სტატისტურ კომიტეტს განუზრახავს ხალხის საერთო აღწერა, შეუდგენია ცალკე ფურცლები და მეტის-მეტის დაწვრილებით აღუნიშნავს ის საგნები, რომლებზედაც უნდა ყველამ დაწვრილებითვე პასუხი მისცეს. სატირული გაზეთი «*Charivari*» დასცინის, რომ ფურცლების შემადგენლებმა უადგილო წვრილმანობას გამოუდგნენო და შემდეგ ამბობს:

შესაძლოა, ცოტა ხნის შემდეგ ისიც მოგვთხოვონ, რომ საქვეყნოდ გამოვაცხადოთ და ფურცლებში ჩავწეროთ ჩვენი გულითადნი გულის პასუხნი, ჩვენი იდუმალნი აზრები და განზრახვანიო. ან შეიძლება კიდევ აი ამაზედაც პასუხი მოგვთხოვონ: «მყავს მე მამა, თუ არა?—თუ არა, ეჭვი ხომ არავისზე მაქვს, რომ მამა-ჩემი ესა-და-ეს უნდა იყვეს?—რა სარწმუნოებურ, პოლიტიკურ ან ფილოსოფიურ აზრებს აღვიარებ? — ზოლას რომანებს ვკითხულობ, თუ არა?—როგორი ქუდი ან შლიაპა უფრო მომწონს?—«მთელი პარიჟის» ნაწილს შევადგენ, თუ არა?—მაქვს რაიმე სახელმწიფო ჯილდო, თუ არა?—თუ არა, სურვილი მაქვს, რომ ვქონიო? რომელსამე გაზეთს ვკითხულობ და სახელდობრივ რომელსა?—რომელი ყვავილი უფრო მომწონს?— რა ფერისაა ჩემი თმა, თუ ვინცობაა თავზე კიდევ შემრჩენია?—ხომ არ შემიძლიან პოლიციას რაიმე ცნობა მივცე ამა-და-ამ კაცის მკვლელობის თაობაზე? — როგორი ხასიათისა ვარ, ცხარე თუ დინჯი, და ხომ მუდმივი ან დროებითი სნეულება არა მჭირს რა?— თავის მოკვლის განზრახვა ხომ არა მაქვს?— დარწმუნებული ვარ, თუ არა, რომ პოლიტიკა, სახელმწიფო საქმეები მარტო ჭკვიანის კაცის საქმეა? — შვილები მყავს, თუ არა?—და თუ ეხლა არა მყავს, აღთქმას ვდებ, ყოველ ღონის-ძიებას ვიხმარებო, რომ შვილები უთუოთ მყვანდეს? და სხვანი...

ჩვენში თუმცა «*Charivari*»-ს არა კითხულობენ, მაგრამ ოხუნჯობა აქაც კი ჰცოდნიათ. აი მაგალითად ამას წინად, როგორც ერთს მოწერილ ამბავში გვაუწყებდნენ, იმერეთში სტატისტური ფურცლები დაურიგებიათ და აი ამ ფურცლებში სხვათა შორის თურმე ასეთი მუხლიც ყოფილა: «რაჭველები რა ერის ტომს ეკუთვნიან?»—ჩვენ გვგონია, რომ ამ ფურცლების შემთხზველი, «*Charivari*»-ის თანამშრომთ არაფერში ჩამოურჩება.

სახელდახელო

(ყბათ-ასალები—წყალ-წასაღები ამბები)

გათავდა ხსნილი და ყველიერი, ქეიფი და ყეენობა,—ჯერი მიდგა დიდ-მარხვაზე. გამეფდა ლობიო, გაბატონდა ჯონჯოლი, გაგვიდიდკაცდენ სხვა და სხვა სოკოები, სურნელება მოჰფინა ქვეყანას ღანძილმა!... ყველა და ყოველის-ფერი გვაგონებს და გვაუწყებს, რომ დაგვიდგა დრო სინანულისა... ძველად ამ დროს დიდს პატივს სცემდნენ და დიდის ამბით მიგებებოდნენ თურმე. ეხლა კი... მაგრამ განა საჭიროა მოვიხსენიოთ, თუ რა გრძნობით და როგორ დაუხვდება ეხლა თვითოეული ჩვენგანი დიდ-მარხვას? ნუ თუ ყველამ არ ვიცით, რაა ჩვენთვის ეს მარხვა და რა ვართ ჩვენ მისთვის? განა სულის ცხონებაზე და ცოდვების მონანებაზედ ვფიქრობთ ამ დიდ-მარხვაში? ვაკვირდებით და განვიკითხავთ ჩვენ ცხოვრებას, ვარჩევთ მასში ცუდს და კარგს, ვცდილობთ მის განკარგებასა?!. თქვენც არ მომიკვდეთ! ჩვენ მხოლოდ ერთი რამ აზრი გვიტრიალებს თავში, ერთი რამ გვტანჯავს და გვაწუხებს,—ეს ეგრედ წოდებული მოწყენილობა, ანუ და «სკუჩნაობა», როგორც ამბობენ ტფილისელი «განათლებული» მანდილოსნები...

* * *

მართლა და სად უნდა გაექცეს კაცი ამ «სკუჩნაობას»? თეატრი—არაა, მასკარადები—არა, ბალები სხვა და სხვა სამადლო განზრახვით—არც ისინი არიან. დაჯექი სახლში და სთვალე ბუზები ჭერში! კარგი კიდევ რომ ეს ბუზები მაინც იყვნენ, მაგრამ სად გააჩენ ბუზებს მარტის პირველ რიცხვებში?!—ჩხუბი მაინც მოხდებოდეს ამ დასაქცევ ევროპაშიო! ამბობდა გუშინ ერთი ჩემი ნაცნობი, ზოგიერთებს მაინც გაგვართობდაო. ხოლო, რადგანაც მოწყენილ ტფილისელების გასართობათ ომს ჯერ არავინ ჰმართავს და, მგონი, არც აპირობს სამერმისოდ, — მეტი რა გზაა!—დაგვრჩენია ისევ სანუგეშოდ ბ-ნის ნიკიტინის ცირკი და ვილაც ფრანგის, თუ რუსის ფილოპატი (ნადირთ შესამწყვდევი ადგილი). პირველში, ე. ი. ცირკში ერთხელ კიდევ გაიგონებთ ყველასათვის თავმობეზრებულ ოხუნჯობას, იმ ოხუნჯობას რომელიც ათას ჯერ მაინც გსმენიათ ამ ორ-სამ თვეში, ჰნახავთ, იმ «ფოკუს-პოკუსებს», რომელნიც ათი ათასჯერ მაინც გინახავსთ და არ გამხიარულებულხართ არც ერთხელ... ხოლო რაც შეეხება ფილოპატს და მასში მომწყვდეულ მხეცებს,მე ღმერთს ვფიცავ, დღესაც ეჭვში ვარ, ნამდვილი ფილოპატია იგი, თუ რამე სათვალთ-მაქცო დაწესებულება!... წარმოიდგინეთ, მხეცი მხეცს არა ჰგავს იქ და ქვემძრომი ქვემძრომს!... ლომი, მაგალითად, ისეთი რამ საცოდავი და გალატაკებულია, ქუჩაში რომ გაუშვან, მე დარწმუნებული ვარ , ჩვენი დიდად-პატივცემული «პირუტყვთა-დამცველი საზოგადოება», სიმოკლისათვის «ზოგჯერ სხვა რიგად» სახელ-წოდებული, იცნობდა მას უპატრონო, მაწანწალა ქუჩის ძაღლად და მოაღრჩობინებდა თავის ჯალათებს. არც ფაფარი, არც კუდი რიგიანი, არც შეხედულობა მეფური, ერთის სიტყვით, არაფერი იმ გვარი, რაც ლომის კუთვნილებას და უპირატესობას შეადგენს. გიყურებს ისე, თითქო შენი რცხვენია და ბოდიშს იხდისო! სადაური ლომია ეს, ღმერთი გადღეგრძელებსთ!..

* * *

მაგრამ თუ ვერც ცირკი და ვერც ფილოპატი ვერ გვანუგეშებს,—სადიდ-მარხვო კონცერტები კი, მე მგონია, გულის მალამოთ მოესწრებიან ტფილისელებს. იმდენად კიდევ კონცერტები არა, როგორც ლიტერატურული საღამოები და ლექციები. უკანასკნელები, ამბობენ, ხშირად გაიმართებაო და მეტად საინტერესო იქნებაო თურმე, ნამეტნავად ქართულის საზოგადოებისათვისაო. ეს მისთვის რომ ჯერ ერთი, ლექციებს წაიკითხავენ ქართულ ენაზე, მემრე, მეორე,—მეტად საინტერესო საგნებზე,—და მესამე—მცოდნე და განვითარებულ პირთა-მიერ იქნებიან წაკითხული. მეტად სასიხარულო და საიმედო «სამი» არ ვიცი კიდევ მოინახებიან თუ არა, დედა-მიწის ზურგზე... კი, მაგრამ, ვინ და რაზე წაიკითხავსო? იკითხავს მკითხველი. მეტი რა გზაა, უნდა ჩამოვყვე და გადმოგცეთ პროგრამა ამ ლექციებისა. დავიწყოთ მაშ თავიდამ:

პირველი ლექცია

(ექვსს-შაბათს, დასაწყისი დღის ცამეტს საათზე)

ქ-ნი საფაროვა-აბაშიძისა აუხსნის მსმენელებს: როგორი, ე. ი. რა შინაარსისა და მიმართულების უნდა იყოს გაზეთი, ან და ჟურნალი, რომ არ მოაწყინოს ამ დიდ-მარხვაში უმასკარადობით დასევდიანებული მანდილოსნები. პატივცემული არტისტ-ქალი თავისის აზრის დასამტკიცებლად მოიყვანს ბევრ ციტატებს ჩვენის ეგრედ-წოდებულ «საბერიკაო ახალთაობის» (აფსუს სახელო) თხზულებათაგან. უპირატესობა ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მიეცემა «თეატრის» რედაქტორის თხზულებათა, რომელნიც მით უფრო მოსაწონი არიან, რომ არ დაწერილან ჯერ და არც დაიწერებიან არაოდეს *). ლექციის კითხვის დროს ქ. საფაროვა-აბაშიძისას გვერდით ეყოლება ბ-ნი მოხევე, რომელსაც ვერცხლის ტაბაკზედ ჯვარცმული «ივერია» ეჭირება ხელში და რომელიც, საჭიროებისამებრ, მიართმევს ქ. საფაროვს, ან «ივერიას», ან შარბათს და დასასრულ, ლექციის შემდეგ, ჩამოუვლის ბუქნასა.

მეორე ლექცია

(ოც-და-თორმეტს მარტს, სწორედ იმ დროს, როცა დღე და ღამე ჩამოართმევენ ხელს და გამოეთხოვებიან ერთი მეორეს.)

ბ-ნი მოხევე იჩივლებს მსმენელებთან, რომ თუმცა მე დიდი და მეტად ნიჭიერი აქტიორი ვარ, მაგრამ «მტერები» შურით შეჰყურებენ ჩემს დაფნის გვირგვინსა და აღარ მაძლევენ მოსვენებასო. დასამტკიცებლად ის წაუკითხავს საზოგადოებას ვალიკო—ის რეცენზიას «ივერიაში», რის შემდეგ დაიფარებს თავზე ამ ნომერს და მოთქმით იმღერებს:

«ამ ამბის შამსწრეთ, თვალებო,
მიწამც გექმნებათ სუდარა!
მზეო გაშავდი, ვარსკვლავნო
მენამც გიხილავთ ნულარა!
ფშავ-ხევსურთ სალოცავებო,
მიიღეთ ჩემი მუდარა!»

ამის მერმედ ქება დიდებას უძღვნის ორს დიდს ბურჯს ჩვენის თეატრისას, რომელთაც მტერიც ხშირად გაუხარებიათ და მოყვრისათვის კი გული არა-იშვიათად მოუწყლავთ. ამა ქება-დიდების მოთქმის დროს ბ-ნს მოხევეს ყელი ამოუშრება, მაგრამ შარბათს მაინც არავინ არ მიაწოდებს, ხოლო ბუქნას კი თვითონ ითამაშებს, სხვების დაუკითხავად...

მესამე ლექცია

(ცხრამეტ ფებერუარს მარტობრის თვეში. საათი და წამი ჯერ-ჯერობით არაა გამოანგარიშებული დაწვლილებით).

ბ-ნი დავით ხოსლანი გამოვა სცენაზე და, ყველაზე პირველ, დაეკითხება საზოგადოებას: «თქვენში ქუთაისელი ვინმე ხომ არ ურევიაო? *)»—რა კი მიიღებს პასუხათ, რომ «არაო!» შეულოცავს თავის გულს:

«გულო, გულის ალაგასა,
ჩასჯექ ბუდის ალაგასა,»

და მიჰყობს ხელს «ლექციების» კითხვას, ამ პროგრამმით.

ა) «ჩემი გენიოსობა და ქვეყნის გაუგებრობა!»

ბ) «ბ-ნი შჩედრინის ოინბაზობა და ჩემი გამქრიახობა:»

გ) «რკინის გზა და მისი მნიშვნელობა უადგილო პირთა დაბინავებისათვის. (როგორ და რა სახით სათანადო არს გუნდრუკის კმევა და ლოდადება: «მოვიზიდები კვარცხ-ბეკად ფერხთა შენთა»), და სხვ... მას შემდეგ იგალობებს დაფითა და საყვირითა ახალ რომანსა:

«მოწიწებითა შორი-შორს
სალამი დაგიყეფეო.»

დასასრულ ბ-ნი ლექტორი წაიკითხავს თავის ორს ახალ თხზულებას რუსულ ენაზე: Душетъ. (коррес. Нов. Обозрѣнія) და ,,Бѣдные дворяне Херхеулидзевы и мошенники—хизане''.

ლექციის კითხვის დროს შარბათს ბ-ნ ლექტორს მიაწოდებს «თეატრის» რედაქტორი, რომელიც ამ შარბათს უანგარიშებს ბ-ნ ლექტორს გასამრჯელოში «თეატრში» დაბეჭდილი სტატიების დაწერისათვის. ლექციის შემდეგ, ბ-ნს სოსლანს შამოესევიან ირგვლივ «თეატრის» თანამშრომელები და ერთ ხმად უმღერიან ,,სერენკი კოზლიკის'' ხმაზე:

«ჩვენო დიდო გენიოსო,
გული არვინ დაგითხოსო!
ილაუზე, ლანძღე, იგინე,
შენ ხარ ჩვენი მეუფროსო!...»

ბ-ნის ლექტორის კათედრიდამ ჩამოსვლის დროს ზარბაზნების სროლა არ იქნება, ხოლო ბ-ნი მოხევე კი ჩვეულებრივად ითამაშებს ბუქნას თვით კათედრაზე...

მეოთხე ლექცია

(შესანიშნავი! გასაოცარი! ბრძნული! ფილოსოფიური!)

(წაიკითხება უდროო დროს და უჟამურ ჟამს, დილას ადრე, საღამოზე, მზის ჩასვლისას, განთიადზე და სხვა)

ბ-ნი კავთელი, «კლიტიკოსი» ,,თე-ატრისა'' წაიკითხავს:

ა),,შექსპირი და მისი ტიპების მაღალი, მდაბალი და საშუალო სულის წყობილებანი''.

ბ) «ჰაერში დახატვა იმ პირთა, რომელნიც ბურუსით და ჯანყით არიან გარემოცულნი!»

დასასრულ ბ-ნი მოხევე ითამაშებს ბუქნას ჰაერში და... ბ-ნ კავთელი-თურთ გარეშემოიმოსება «ჯანყითა და ბურუსითა...»

ილ. ხონელი

უცხოეთი

ჩრდილო-ამერიკა. ამბობენ, რომ განათლებას, გონების ვარჯიშობას თან მოსდევს ზრუნვა მაღალის ხორც-უსხმელის ინტერესებისათვის, სულის განკეთილებისათვის და ხორცზე ზრუნვა-კი, ცხოვრების განკარგებაზე ფიქრი-კი ჯერ რიგად არ აწუხებს ნამდვილ და ჭეშმარიტ განათლების გზაზე დამდგარს ბრძენსაო. გონებრივისა და სულიერის ვარჯიშით შთანთქმულს, დიდად ამაღლებულს უბრალო, ყოველ-დღიურ ცხოვრებაზე, მეტის-მეტად დაბალ და უკადრისს ინტერესებად მიაჩნია ზრუნვა ხორცის საზრდოობაზე, ცხოვრების ქონებრივს ინტერესებზედ. ერთის სიტყვით, აქამდე მომეტებულ ნაწილად ასე ფიქრობდნენ, რომ განათლებულს ქვეყნებში იდეალური მიმართულება ვრცელდება და პრაქტიკული მიმართულება-კი თავს ვერ იჩენსო. ყოველივე ეს სრულიად არ მიუდგება ჩრდილო-ამერიკას, რომელიც ფრიად განათლებულია, მაგრამ თან ფრიად პრაქტიკულის მიმართულებისაცაა. ამერიკაში ძალიან იშვიათია ისეთი მსწავლული, რომელიც იჯდეს და ჩაჰკვირკიტებდეს თავის მეცნიერებას მხოლოდ ამ მეცნიერების მაღალის სიყვარულისა და სურვილისა გამო. ამერიკაში მეცნიერი ისეთს საგნების კვლევას არ გამოუდგება, რომ სულსაც არ არგოს და ხორცსაც, რომ დიდი ქონებრივი სარგებლობა არ მისცეს და სიღარიბეში მყოფი დიდის სიმდიდრით არ გაახედნიეროს. ეგრედ-წოდებულ საკაბინეტო მეცნიერებს ამერიკაში მეზობლები, რასაკვირველია, მდაბიო ხალხი, ისეთს პატივს არა სცემენ, როგორც მაგალითებრ შვეიცარიაში და გერმანიაშიო, კიდევაც დასცინიანო: ცხოვრებაში

---

*) ტყუილია, უსაფუძვლო ცილის-წამებაა!.. «თეატრის» რედაქტორს აქვს თავისი თხზულებები და, რასაკვირველია, დაწერილნი. ერთი მათგანი მეც ჩამივარდა ხელში, რომელიც (თხზულება და არა ხელი) იწყება ასე: «პ-დ ვიცი ჩემ ამბავს იკითხავთ, მე, ღთით, ფეხი მოვიტეხე და კარგათა ვარ, რომელსაც, ძმავ, შენთვისაც ვისურვებ», და სხვ.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

*) აქ უსათუოდ ავტორს ჭინჭრის სუსხი აგონდება: ერთის ამისთანა ლექტორისათვის ჭინჭრის გვირგვინის მირთმევა დაუპირებიათ ქუთაისში, და, ამისა გამო, მას აქედ ყველა გაფრთხილებულ ლექტორს შიში ჩარჩენია გულში ქუთათელებისა. მაინც-და-მაინც არაფერი მოსაყვანი იყო ეს მაგალითი, მერმე მაშინ, როცა ბ. სოსლანზეა ლაპარაკი.

შენიშვნა ასოთ ამწყობისა.

უზრუნველები არიან, თავისი სარგებლობა არ იციანო.

ამერიკაში დიდი პატივი იმასა აქვს, ვისაც თავის მეცნიერებით დიდი ქონება და სიმდიდრე შეუძენია. ტელეფონის მომგონმა მეცნიერმა ბელმა რამდენიმე მილიონის დოლარის შეძლება შეიძინა ტელეფონის მოგონების წყალობით და გამდიდრებულმა მსწავლულმა ისეთი ცოლი შეირთო, რომ ორი ამოდენა შეძლება კიდევ იმას მოჰყვა მზითვად.

თუმცა ამერიკელები ასეთი მცოდნენი არიან ცხოვრებისა და არც ერთი ისეთი მეცნიერი არ დაუბადნიათ, რომელიც ჭკუმახნებურს მეცნიერებაში დიდი და გამოჩენილი ყოფილიყოს, თითქმის არც ერთი ისეთი ფილოსოფოსი და მსწავლული თეორეთიკოსი, როგორიც არის სპენსერი და სხვა ფილოსოფოსები ევროპისა, განათლებას და სწავლას-კი ძალიან მისდევენ. უფასო და ყველასთვის სავალდებულო სკოლები მრავლად არის ამერიკაში. ამ გვარ სკოლებზე ამერიკა ჰხარჯავს ყოველ-წლივ თითო შტატზედ თითქმის 100 მილიონ დოლარს, ისე რომ თითოეულის შტატის შინაურს სკოლებზედ აქედამ 82 მილიონი დოლარი მოდის. 200 მილიონი დოლარი ჰღირს მარტო ის, რაც სკოლების საკუთრებაა. პატარა დაბასა და ქალაქებშიაც-კი, სადაც სახლები უხეირო ფიცრულ-ხუხულებსა ჰგვანან, სკოლა დიდს სრა-პალატასა ჰგავს. 1880 წელს 50 მილიონი ხალხი იყო ამერიკაში და 189,000 პირველ-დაწყებითი სკოლა ჰქონდა. ამ სკოლებში სწავლობდა 10 მილიონამდე შეგირდი. სასტატო სემინარიების რიცხვი იყო 220—26,000 შეგირდითურთ. საზოგადოთ რომ ვსთქვათ, საერო განათლებაზედ შტატები ჰხარჯავს ხუთჯერ მეტს, ვიდრე ინგლისი და ოთხჯერ მეტს, ვიდრე საფრანგეთი.

სად არის ამდენი ფული სკოლებისათვის, იკითხავს ვინმე.—ჯერ ერთი რომ მმართებლობამ დაურიგა სკოლებს დიდი მამულები, რომელთ შემოსავალი სულ სკოლების სასარგებლოთ მოდის და მეორედ, სასკოლო ფულს ერს ახდევინებს მმართებლობა ისევე, როგორც სახელმწიფო გადასახადს. 38 შტატიდამ, 14 შტატმა სავალდებულოდ გახადა, რომ 8 წლიდამ 15 წლამდე უთუოდ სწავლობდეს ყმაწვილი სკოლებში. ამ შტატებში პოლიციელებს ვალადა სდევთ, დაატუსაღოს ის ყმაწვილები, რომელნიც სწავლის დროს ქუჩაში შეხვდებათ და შესაწყნარებელი საბუთი კი არ ექმნებათ იმისი, რისთვის დაუნებებია კლასისთვის თავი.

ოთხ მასწავლებელში სამი უთუოდ ან გასათხოვარი ქალია, ან ქვრივი. ამ სახით სამი მეოთხედი ოსტატების ადგილებისა ამერიკაში ქალებს უჭირავთ. გათხოვდება თუ არა ქალი, თავი უნდა დაანებოს მასწავლებლობას და თავისი ადგილი სხვას დაუთმოს, რომელსაც, ამერიკელების აზრით, შემნახველი არა ჰყავს: ეს გარემოება არის მიზეზი, რომ ამერიკაში მასწავლებელი მომეტებულ ნაწილად მცირედ არის დაკავშირებული სკოლასთან და თავის გულსა და სულს შიგ არა ჰხვევს, სამუდამოდ და თავ-განწირულებით არ ეძლევა სკოლის საქმეს, არამედ ისე უცქერის, როგორც დროებითს თანამდებობას. მით უმეტესს უცქერის ასე თავის საქმეს ამერიკელი მასწავლებელი პირველ დაწყებითის სასწავლებლისა, რომ იქ მასწავლებელს ისეთის პატივისცემით არ ეპყრობიან, როგორც ევროპაში..

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ თუ თითოეული ამერიკანელი უმაღლესად განათლებული არ არის და თავ-განწირვით არ მისდევს თეორეტიკებურს და ჭკუმახნებურ მეცნიერებას, საზოგადოდ მთელი ერი უფრო მეტად განვითარებული და გონება-გახსნილია, ვიდრე სხვა რომელიმე ერი დედა-მიწის ზურგზე.

დეპეშა

4 მარტს

პეტერბურგი. მმართებლობამ გამოაცხადა საყოველთაო ის წესი, რა წესითაც მსხვილ-ფეხი საქონელი და ცხვარი შეიძლოა გაიგზავნ-გამოიგზავნოს ერთის ადგილიდამ მეორე ადგილზედ საევროპიო რუსეთში. ეს წესები და აგრეთვე ის კერძო შემთხვევანი, სადაც იგინი სავალდებულონი არ იქმნებიან, დაწვრილებით თავ-თავის დროზედ გამოცხადდება «საგუბერნიო უწყებებში».

«*Journal de St-Petersbourg*»-ი ამბობს, რომ ძნელი მოსალოდნელი იყო მთავარის ალექსანდრესაგან ახალი დაბრკოლება აღმოჩენა მშვიდობიანობის დამყარებისათვისაო. პირველი თვითონ შეიქმნა მიზეზი დღევანდელის არეულობისაო ევროპის აღმოსავლეთისაკენაო და უნდა ბედნიერად ჩაეთვალა თავისი თავი, რომ ამისათვის პასუხი არავის არ მოჰკითხაო. ძნელი დასაჯერებელია, რომ მთავარი წინააღმდეგი გამხდარიყო იმ მორიგებისა, რომელიც მოიწონეს დიდმა სახელმწიფოებმაო და რომელსაც თავსათაც მიემხროვო. სხვა არა იყოს-რა მარტო ის უნდა მიეღო მხედველობაში, როგორ იმოქმედებდა ეს გარემოება ბელგრადსა და ათინაზეო. ამიტომ ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ დიდნი სახელმწიფონი სასტიკად მოითხოვენ თავიანთის აგენტების შემწეობით სოფიაში უარ-ჰყოს მთავარმა ალექსანდრემ თავისი სურვილიო.

ათინა. რაკი პორტას ძლიერ დაუჭირეს მხარი დიდმა სახელმწიფოებმა, მან მოსთხოვა საბერძნეთს იარაღი აეყარე, თორემ დიპლომატიურს კავშირს გავსწყვეტავ შენთანაო.

ბელგრადი. როგორც მშვიდობიანობის დროს არის ხოლმე ჯარი, თან-და-თან იმ მდგომარეობაშივე მიდისო. ჯარის კაცებს ანაწილებენ სხვა-და-სხვა ციხეთა შორის იმის მიხედვით, როგორც მშვიდობიანობის დროს ყოფილაო.

პარიჟი. რადიკალმა კამელინამ შეიტანა წინადადება დეკაზვილის არეულობის თაობაზე, მაგრამ პალატამ 372 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 100, მოიწონა სამინისტროს წინადადება მორიგ საქმეთა განხილვისა: მმართებლობა საჭირო ცვლილებას შეიტანს სამთო მრეწველობის განკარგულებისათვის და მოახერხებს დაიცვას უფლებანი სახელმწიფოსი და ინტერესები მუშათაო.

დეკაზვილიდამ გვატყობინებენ, რომ მუშებს გადაუწყვეტიათ, ერთმანერთ პირი არ გაუტეხოთო.

სოფია. ჰავასის სააგენტოს-მიერ გავრცელებულს ამბავს, ვითომ მთავარი ალექსანდრე თხოულობს უვადოდ დამნიშნეთ აღმოსავლეთ-რუმელიის გუბერნატორადაო, ოფიციალურად უარ-ჰყოფენ.

ლონდონი. რადგან ირლანდიის საქმის გამო გლადსტონთან ვერ მორიგებულან, მინისტრებს ჩემბერლენს და ტრეველიანს სამსახურიდამ გამოსვლა მოუნდომებიათ, მაგრამ მათი თხოვნა არ შეუწყნარებულა.

სტამბოლი. ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრი ცანოვი წავიდა სოფიას.

ვენა. ცანოვის წამოსვლას სტამბოლიდამ აქ ისე ჰხსნიან, ვითომც ბძანება მოსვლოდეს უკან სოფიაში დაბრუნდიო, თუ მთავრის უვადოდ დანიშვნა აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ გუბერნატორად შეწყნარებულ არ იქმნასო. ამბობენ, სახელმწიფოთა მიერ წარდგენებამ სოფიაში, რომ მთავარმა უარ-ჰყოს ხსენებული წინადადება თვისი, ჯერ-ჯერობით არა ვითარი მოქმედება არ იქონიაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

4 დღე სამშაბათი. ღირს. გერასიმესი, კათოლ. კაზიმირისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—45. ტფილისში მზე ამოდის 6—10. ჩადის 6—9 მთვარე ამოდის 1—47; ჩადის 3—1 ნღ.

5 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. კონონ, ონისიმესი, ქალწ. მოწამე იროიდოსი. კათ. გარდატანა ნაწილთა წმ. ვაცლავისა ლოტანგერსა, დღე სინანულისა და ლოცვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—27. ტფილისში მზე ამოდის 6—8; ჩადის 6—10. მთვარე ამოდის 3—6, ჩადის 3—53 ნღ.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. 42 მოწამეთა. კათ. ვიქტორისა. დედოფალმა ელენემ ჰპოვა ჯვარი პატიოსანი და ლურსმები იერუსალიმს, მე-IV საუკ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—7; ჩადის 6—11. მთვარე ამოდის 4—14; ჩადის 4—37 ნღ.

7 დღე პარასკევი. წმ. [illegible] შვიდთა მღვდელ-მოწამეთა: ვასილისა და სხვ. კათ. თომასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7—52. ტფილისში მზე ამოდის 6—5; ჩადის 6—12. მთვარე ამოდის 5—36; ჩადის 5—24 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 6. წ. დ.

სააპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია"

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვეით	10 მ. — კ.	6 თვეით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 ,	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და ვრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 5 Марта, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**